სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 აგვისტო, 2024 წელი

ბრძანება №01-02/148

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში **საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) მიღების ცნობის ფორმის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/**12** გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 ივლისის N01-02/108 ბრძანების** საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) საპროცედურო კომისიის მიერ მიღების დადასტურებისათვის გასაცემი **ცნობის ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ,,რექტორის ბრძანებები“ და ასევე აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ველში - ღია კონკურსის განცხადებაზე თანდართულ ფაილებში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) მიღების ცნობის ფორმის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 27 აგვისტოს N01-02/148 ბრძანების N1 დანართი

ცნობა № _____

/ნომერი სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საკონკურსო განაცხადის მიღების შესახებ

ეძლევა _____ **მასზედ, რომ** რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ბსუ-ს პორტალის მოდულში ,,აკადემიური პერსონალის ღია კონკურსი“- **www.portal.bsu.edu.ge/jobs, წარმოადგინა საკონკურსო განაცხადი** (ანკეტა) ელექტრონულად, **შემდეგ საკონკურსო თანამდებობაზე:**

ფაკულტეტის დასახელება					
დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება					
საკონკურსო მიმართულება					
აკადემიური თანამდებობის დასახელება	☐ პროფესორი **(უვადო)**	☐ პროფესორი (6 წლის ვადით)	☐ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ-პროფესორი	☐ ასისტენტი

საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენის და საპროცედურო კომისიის მიერ ელექტრონულად დადასტურების შემდეგ **კონკურსანტმა დადგენილ ვადაში** (რიცხვი/თვე/წელი) **მატერიალური სახით წარმოადგინა:**

1. საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) ამობეჭდილი - ☐ _____
2. 2 ფოტოსურათი (ზომა 3X4) ☐ _____
3. ☐----------
4. ☐----------
5. ☐----------
6. ☐----------

განცხადება მიიღო
საპროცედურო კომისიამ
(კომისიის წევრის სახელი და გვარი
და ხელმოწერა)